თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 16

ქ. თელავი 2019 წლის 19 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ალექსი ძულიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები'' -ს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დიმიტრი ზაქაიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავის დირექტორი ზაქრო კევლიშვილი, მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის N41 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N34 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დიმიტრი ზაქაიძემ აღნიშნა, რომ ქონების პრივატიზიით მიმდებარე შენობის მფლობელი განხორციელებს ინვესტიციას და დაასაქმებს ხალხს.

ზაქრო კევლიშვილმა აღნიშნა, რომ სპორტულ დარბაზს ესაჭიროება გათბობის სისტემის მოწყობა, რომლის გაკეთება დაუშვებელია შენობაში და უნდა გამოყენებული იქნას შენობის გარეთ ადგილი.

ალექსი ძულიაშვილმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება წარმოდგენილი შენობის ნუსხაში შეტანას, ვინაიდან შენობა შეიძლება გამოყენებული იქნას საქვაბისთვის ან და მოშლის შემთხვევაში პარკინგისთვის .

ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, რომ არ ეთანხმება აუდიტის მიერ საპრივატიზებო ნუსხაში შესატანი ქონების შეფასებას, ვინაიდან დასკვნაში არ არის გათვალისწინებული თელავის მუნიციპალიტეტში უძრავი ქონების ბაზარზე არსებული ფასები, როგორც მიწის ასევე შენობა-ნაგებობების, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ფასწარმოქნის დადგენის დროს, რეალური ფასი სულ ცოტა შეიძლება 2-3ჯერ მეტი იყოს და პრივატიზაციის შემთხვევაში ამონაგები თანხით შესაძლებელი იქნება ახალი საქვაბის აშენება და გათბობის სისტემის მოწყობა.

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ არ მიეცეს თანხმობა წარმოდგენილი სახით პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე. მიზანშეწონილი იქნება, რომ მომავალ წელს მერიამ გადახედოს მიწის ნორმატიულ ფასებს და მოხდეს ქონების ხელახალი შეფასება.

გ.მამუკელაშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: არ მიეცეს თანხმობა წარმოდგენილი სახით პროექტის თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის N41 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების

გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ნუსხაში შეტანილი სოფელ კონდოლში სახნავი მიწის ნაწილი არის კერძო საკუთრებაში, ამიტომ საჭიროა მისი ნუსხიდან ამოღება დაზუსტების მიზნით.

ა.შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის N41 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N34 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ ნუსხაში შეტანილი სოფელ ვარდისუბანში სახნავი მიწის ნაწილი არის კერძო საკუთრებაში, ამიტომ საჭიროა მისი ნუსხიდან ამოღება დაზუსტების მიზნით.

ა.შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N34 განკარგულებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 4. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ მერიის მიერ ძირითადად გათვალისწინებული იქნა წინა კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და დააყენა წინადადება პროექტის ამ სახით საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ა.შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი